



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაჩეჩილაძე დუდანა გიორგის ასული

გაჩეჩილაძე დუდანა გიორგის ასული (დ. 11. 01. 1965, თბილისი), ექიმი-რადიოლოგი; მედ. მეცნ. დოქტორი (2005), საქართვე. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2010).

1987 დაამთავრა თსსი; 1988–91 მუშაობდა ა. ნათიშვილის სახ. მორფოლოგიის ინ-ტში; 1992-იდან –აკად. ფ. თოდუას სახ. სამედ. ცენტრში.

გ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 3 მონოგრაფიის ავტორი, რ-იც ეხება სისხლძარღვთა პათოლოგიებსა და დიაგნოსტიკას.

გ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკადემიის მიერ დანესებული ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახ. პრემია (2008) და საპატიო სიგელი მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით (2015), ღირსების ორდენი (2012).

თხზ.: ცერებროვასკულარულ პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა, თბ., 2007 (თანაავტ.); ექსტრაკრანიალური სისხლძარღვების პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა, – თანაავტ.: ფ. თოდუა, დ. გაჩეჩილაძე, თბ., 2014; „Noninvasive radiologic diagnostics of vessel pathologies“ – (თანაავტ.: F. Todua, D. Gachechiladze), 2018.
